საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-825

11/10/2018

ქ. თბილისი

შპს „ნიუ სფეისის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ნიუ სფეისის“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

შპს „ნიუ სფეისს“ მიღებული აქვს წიაღით სარგებლობის ლიცენზია N1004744 გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მუღანლოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე იორის ქვიშა ხრეშის (Iდა II უბანი) გამოვლინებაზე. უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 360 მეტრით. საწარმოს წარმადობა შეადგენს 50 $м^3$/სთ.

საწარმოში ნედლეული შემოტანა მოხდება ავტო-თვითმცლელით, ნაწილი კი განთავსდება ბაქანზე, საიდანაც საჭიროების მიხედვით მიეწოდება მკვებავ ბუნკერს. ბუნკერიდან გადადის ვიბრაციულ ცხავში და ემატება ტექნიკური წყალი. ცხავზე დარჩენილი დიდი ზომის მასა გადავა ყბიან სამსხვრევში, საიდანაც დაქუცმაცებული მასა ლენტური ტრანსპორტიორით ბრუნდება ვიბრო-ცხავზე და საბოლოოდ ხდება ფრაქციების გამოყოფა. საწარმო იმუშავებს 8 საათიანი სამუშაო ციკლით, წელიწადში 250 სამუშაო დღე.

საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი ნაგებობები: პანდუსი, ოპერატორის კაბინა, სატრანსფორმატორო, მკვებავი, ვიბრო-ცხავი, ტრანსპორტიორი, ქვიშის ბაქანი, ყბიანი სამსხვრევი, როტორული მსხვრევანა, სამსხვრევი, 5-10 კლასის ღორღის ბაქანი, კლასიფიკატორი, 0-5 კლასის ბაქანი, წყალაღების მოწყობილობა და სამსაფეხურიანი სალექარი.

წყლის აღება საწარმოო მიზნებისათვის, მოხდება მდინარე იორიდან, რომელიც დაშორებულია საწარმოდან დაახლოებით 50-100 მეტრით. ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი შეიკრიბება საწარმოო მოედანზე მოწყობილი შემკრები ღარებით და შეგროვდება სამსექციან ჰორიზონტალურ სალექარში, რის შემდეგაც გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება მდ. იორში.

ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

საწარმოს მუშაობის პროცესს თან ახლავს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები, (სამსხვრევი, ცხაური, ტრანსპორტიორები და სხვ.) ასევე სატრანსპორტო საშუალებები, რომლებითაც მოხდება ნედლეულის, მზა პროდუქციის და ნარჩენების ტრანსპორტირება, თუმცა დასახლებულ პუნქტთან დაშორებული მანძილის გათვალისწინებით მოსალოდნელი არ არის ხმაურის მნიშვნელოვნად გავრცელება.

საწარმო იმუშავებს სველი წესით, მიუხედავათ ამისა ატმოსფერულ ჰაერში მაინც გამოიყოფა მცირე რაოდენობის არაორგანული მტვერი. დასახლებულ პუნქტსა და საწარმოს

შორის მანძილიდან (360 მ) გამომდინარე ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.
საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება სეპარირებული სახიფათო და არა სახიფათო ნარჩენების შეგროვდება. წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე შესაბამისი ნორმებით მოწყობილ სათავსოში. ნარჩენების აღდგენის ან განთავსების მიზნით, ისინი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამისი უფლება-მოსილების მქონე ორგანიზაციას.
ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში მოსალოდნელია გრუნტის დაბინძურება, ასევე მოსალოდნელია ზემოქმედება მიწის ნაყოფიერ ფენაზე. საწარმოს ტერიტორიაზე რისკების შემცირების მიზნით თუ განხორციელდება ტექნიკის და ტრანსპორტის მუშაობის პროცესის მეთვალყურეობა და დაუყოვნებლივი რეაგირება დარღვევებზე, შეამცირებს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.
ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია მნიშვნელოვან გარემოზე ზემოქმედებას არ გამოიწვევს, თუ კომპანია უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვას.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის 5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს ,,ნიუ სფეისის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს ,,ნიუ სფეისი“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ნიუ სფეისს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ნიუ სფეისის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი